№46 (155),1999 გამოდის პარასკევობით ფასი 30 თეთრი
24 დეკემბერი

# ფანტაზია

2000

## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალწელს!



### 1999 წლის უკანასკნელ ნომერში გთავაზობთ

- 4 სკანდინავიურ კროსვორდს
- 157 სიტყვიან სუპერკროსვორდს
- ფოტოკროს-ვორდს
- გიგანტურ იაპონურ ნახატს
- ...და თქვენს საყვარელ ფოტოგამოცანას (მე-16 გვერდი)

**დადგება თუ არა XXI საუკუნე?**

(იხილეთ მე-2 გვ.)

# რეიტინგი



| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | | 18 | |
| 2 | | 19 | |
| 3 | | 20 | |
| 4 | | 21 | |
| 5 | | 22 | |
| 6 | | 23 | |
| 7 | | 24 | |
| 8 | | 25 | |
| 9 | | 26 | |
| 10 | | 27 | |
| 11 | | 28 | |
| 12 | | 29 | |
| 13 | | 30 | |
| 14 | | 31 | |
| 15 | | 32 | |
| 16 | | 33 | |
| 17 | | 34 | |
| ქულათა ჯამი | | | |

01-30 ქულა – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!
21-70 – მე-2 თანრიგი
71-110 – 1-ლი თანრიგი
111-150 – ოსტატი
151-180 – კროსმაისტერი
181-198 – ბრავო მაესტრო!
200 ქულა – კროსვორდის ავტორი თქვენ ხართ?!

1. ევროპის მონარქიული სახელმწიფო (**4**). 2. რა არის ინტერნეტი თავისი არსით? (**4**). 3. თილისმაზე წასაწერი უაზრო სიტყვა (**7**). 4. მერვე ვერტიკალი ერთ თამაშში (**4**). 5. ასე ვთქვათ, გამაწონასწორებელი (**5**). 6. დადებითად დამუხტული ელექტრონი (**4**). 7. ის, რაც ცოცხალ ორგანიზმებს გააჩნიათ (...და გადატანითი მნიშვნელობით - არაცოცხლებსაც) (**3**). 8. არსება, რომელიც ყველა ფერს ვერ აღიქვამს (**5**). 9. მტკიცედ დადგენილი, ნიმუშად მიღებული ანუ როგორი? (**7**). 10. ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ქალღმერთი ძვ.ეგვიპტურ მითოლოგიაში (**6**). 11. ალპიური ყვავილი (**6**). 12. ქალაქი ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (**7**). 13. (.......) სადათი, ეგვიპტის პრეზიდენტი 1970-81 წლებში (**7**). 14. რელიეფის ნაწილი (**2**). 15. იხილეთ ფოტო და გაიხსენეთ ამ ქალბატონის გვარი (**6**). 16. იაპონელი ტანმოვარჯიშე ვაჟი, რომელმაც 1956-64 წლებში ხუთი ოლიმპიური ოქრო მოიპოვა (**10**). 17. ავტორი პიესისა „ფიროსმანი ანუ მარტოობის დღესასწაული“ (**10**). 18. უნგრელი მწერალი-რომანტიკოსი (**10**). 19. პატარა ექვანი (**3**). 20. მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი „თემა“ (**6**). 21. სუბიექტი, რომელიც ნაომარს ძარცვავს (**6**). 22. მთელი სიდიდე, რომელსაც განიხილავენ, როგორც თავის უსასრულოდ მცირე ნაწილების ჯამს (**8**). 23. ლოტოს გასათამაშებელი საშუალება (**6**). 24. გრძელ მანძილებზე მორბენალი (**6**). 25. „ადვოკატი“ კლდიაშვილისეული მოთხრობიდან „ქამუშაძის გაჭირვება“ (**8**). 26. საკურორტო დაბა სოჭის მახლობლად (**5**). 27. „ცრემლიანი“ სცენიური, კინო ან ტელენაწარმოები (**5**). 28. მეგრელი მხედრული სიმღერების მისამღერი (**4**). 29. თანამედროვე ხუთჭიდის შემადგენელი ნაწილი (**6**). 30. ბეჭდვით პროდუქციასთან მომუშავე სპეციალისტი (**6**). 31. მენდელეევის პერიოდული სისტემის VII ჯგუფის ქიმიური ელემენტი (**8**). 32. კომუნისტობისას თბილისში მდებარე ერთი სამხედრო სასწავლებლის გავრცელებული სახელი (**6**). 33. XVIII საუკუნის ფრანგი მწერალი, ერთი ყოვლადცნობილი სატრფიალო რომანის ავტორი (**6**). 34. გვარი პიროვნებებისა, რომლებიც თქვენს გართობაზე ზრუნავენ (**1**).



## „ფანტაზიის“ მკითხველებს!

უპირველესად დამდეგი ახალი წელი უნდა მოგილოცოთ და დიდი ბედნიერება და სიკეთე გისურვოთ 2000 და ყველა მის მომდევნო წელს!

ჩვენ დიდი მადლობას ვუცხადებთ ყველას, ვინც მხარში ამოგვიდგა და გაზეთის შენარჩუნებისთვის სიტყვა და საქმე არ დაიშურა. კი დაგპირდით, რომ წლის ბოლოს „ფანტაზიის“ შემაჯამებელ ნომერს გამოვცემდით, მაგრამ, ყველასათვის კარგად ცნობილი ენერგოდეფიციტის გამო, ვერ ვახერხებთ ამას და ამგვარი გაზეთის გამოცემის სურვილს მომავლისათვის ვიტოვებთ.

აქვე გაცნობებთ, რომ კარსმომდგარი დღესასწაულებისა და სხვა ორგანიზაციულ-სტრუქტურული პრობლემებისა გამო მცირე ხნით გაჩერება მოგვიწევს!

იმედია, სულ მალე კვლავ შევხვდებით ერთმანეთს!

*ალექსანდრე ელერდაშვილი*

## დადგება თუ არა XXI საუკუნე?!

*XXI საუკუნე აუცილებლად დადგება, საკითხავი მხოლოდ ის არის, თუ როდის დაიწყება ეს ასწლეული – 2000 წლის 1 იანვარს თუ 2001 წლის 1 იანვარს? ვინც ელემენტარული არითმეტიკა იცის, დაუყოვნებლივ გასცემს ამ კითხვას პასუხს, ანუ – ყოველ ათეულს, ასეულს თუ ათასეულს ნულით დაბოლოებული რიცხვი უნდა ამთავრებდესო და ამის გამოისობით 1999 წელი ვერ იქნება საუკუნის უკანასკნელი წელი, ხოლო 2000 მომდევნო საუკუნის დასაწყისიო... ასე რომ XXI საუკუნე 2001 წლის 1 იანვარს დაიწყება.*

*ჩვენც ზუსტად ამ აზრს ვიზიარებთ, მაგრამ....*

*არის ერთი მაგრამ....*

*ეს დებულება სწორი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ახალი წელთაღრიცხვა, ანუ მაცხოვარის დაბადების თარიღი 0 (ნული) წლით განისაზღვრება... ჰოდა, აბა თქვენ გსმენიათ, რომ ახალი წელთაღრიცხვის საწყის წელიწადს დაბადებული ვინმე 0 (ნულ) წელს დაბადებულიყო? შეიძლება ვთქვათ, რომ ესა და ეს ფაქტი 0 (ნულ) წელს მოხდა? მე მგონი, არა! ასე რომ, ის საწყისი წელი იყო 1-ლი წელი და აქედან გამომდინარე 1999 წლის 31 დეკემბერს 2000 წელი გავა ქრისტეს დაბადებიდან და (2000 წლის) 1 იანვარს XXI საუკუნეც დაიწყება! ანუ ჩვენი ახლანდელი 24 დეკემბერი არის 1999 წელს პლუს 11 თვე და 24 დღე და არა 1998 წლის და იგივე რიცხვების ჯამი... რაღაც ლოგიკა ამ დებულებაშიც არის, არა!*

*ასეა თუ ისე, ამ ორ ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებას მთელი მომავალი წლის განმავლობაში მოუწევთ ერთმანეთთან „ჭიდილი“ და 2001 წლის 1 იანვარს ამ საკამათო საკითხს ყველა დავივიწყებთ, რადგან XXI საუკუნე ნამდვილად იქნება ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი მთელი ასწლეულის განმავლობაში... ჩვენც სწორედ ეს გვინდოდა გვეთქვა, რომ ყველა თქვენგანს და თქვენს საყვარელ ადამიანებს მთელი ასი წლის განმავლობაში ვუსურვებთ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას... „ფანტაზიასთან“ ერთად! საერთოდ კი, დროის მსვლელობა მხოლოდ საშუალებაა ადამიანთა ურთიერთსიყვარულის გამომჟღავნებისა და ვინც ნაკლებად ფიქრობს დღეების და საუკუნეების მონაცვლეობაზე, ის ნამდვილად ბედნიერი ადამიანია! (ეს აზრი კი ჩვენ გრიბოედოვისაგან ვისესხეთ, რომელმაც თქვა* **„Счастливые часов не наблюдают“***-ო! გაიგე-ე-ე-ე!) ღმერთმა დაგვასწროთ XXI საუკუნეს!*

## ფოტოკროსვორდი

# ტოპ-მოდელების სამყაროში



3. რა გვარია ეს ქალბატონი?



2. რა გვარია ეს ქალბატონი?

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლ | რ | ტ | ს | რ | ე | რ | გ | ო | ნ | ი | ნ | ა |
| ი | ა | ო | რ | უ | ვ | ა | ა | კ | რ | ო | პ | მ |
| ნ | ტ | უ | ი | მ | ლ | ფ | ი | მ | ჯ | ნ | ა | რ |
| გ | ა | ნ | ი | ი | ი | ი | ფ | ო | გ | ი | მ | ა |
| ტ | ბ | ე | რ | ა | ს | ა | ვ | დ | ა | კ | ს | ვ |
| ო | ნ | ი | ა | ს | დ | რ | ო | ე | ლ | ა | ძ | ე |
| ლ | ს | ა | ხ | პ | ი | ი | ტ | ლ | ი | ო | ე | ო |
| ო | ი | ნ | ო | ო | ვ | ე | ს | ი | ნ | რ | ი | ტ |
| რ | ა | ნ | ს | დ | ი | ც | ი | ა | ო | ი | ლ | ს |
| შ | მ | ი | რ | ი | უ | ე | ძ | ზ | ი | ზ | უ | ო |
| ვ | ბ | ე | ე | ფ | მ | ი | ი | ი | ტ | ი | მ | დ |
| ე | ა | რ | ა | კ | ა | მ | ნ | ა | მ | რ | ა | რ |
| ნ | ი | ე | უ | ე | რ | მ | ა | ნ | ი | უ | თ | კ |

3. ცნობილი დიზინერი, ჯორ-ჯო...
4. ცნობილი დიზაინერი, ივ-სენ...
5. ცნობილი რუსი დიზაინ-ერი
6. ადგილი, სადაც ამ ქალბა-ტონებს უხდებათ მოღვაწეობა
7. პროფესია, რომელთა წარ-მომადგენლების საქმიანობის დემონსტრირებასაც ახდენენ ეს ქალბატონები
8. სიშიშვლის სახეობა, რო-მელთანაც კავშირი არ აქვთ ამ ქალბატონებს
9. სიტურფის სინონიმი, რას-აც ეს ქალბატონები ფლობენ
10. კაცი, რომელმაც თქვა — „სილამაზე გადაარჩენს მსოფ-ლიოს“-ო



11. რა გვარია ეს ქალბატონი?



12. გაიხსენეთ იმ პიროვნების პროფესია, რომელიც წლების განმავლობაში ამ ქალბატონს ეკურკურებოდა
13. გაიხსენეთ სახურავის ის საფარი, რომელიც ამ ქალბატონის გვარის სინონიმს ცვლიდა ჩვენში საუკუნეების განმავლობაში.

14. რა გვარია ეს ქალბატონი?





15. ჩვენი და თქვენი საყვარელი გასართობის პათოლოგიური სახესხვაობა, რომელიც აკუსტიკურად ამ ქალბატონის გვარს ჰგავს
16. ჩვენი მსახიობი, სცენაზე რომ მღეროდა — „პირზე გაქვს ხალი, შავ-შავი თვალი, კოცნა მსურს შენიო“



17. გაიხსენეთ ჩვენი მკურნა-ლი, რომელიც ამ ქალბატონის გვარის ქართულ ვარიანტს ატარებდა



18. გაიხსენეთ ის საღვთო წიგნი, რომლის ინგლისური ვარიანტი ამ ქალბატონის გვარშია დაფიქსირებული



19. რა გვარია ეს ქალბატონი?

**თარაზულად**: **1**. რეაქტიული ძრავის მქონე საფრენი აპარატი. **4**. სრული სახელი ასე ჟღერს Geheime Staatspolizei... გაიხსენეთ მისი მოკლე და უფრო გავრცელებული ვარიანტი. **7**. კასპაროვთან თამაშისას მან ლაზიერი რომ გაჩუქოთ, რა ერქმევა ასეთ საქციელს? **11**. შენობა, რომელიც გმირებისათვის განკუთვნილ სივრცეს გადმოჰყურებს. **18**. გაიხსენეთ ის მცენარე, რომელიც სოფი ლორენისა და მარჩელო მასტროიანის ერთი ფილმის სათაურშია მოხსენიებული. **19**. რეჟისორი ფილმისა „დიდი მწვანე ველი“. **20**. ქვეყანა, რომლის ისტორიის უკანასკნელი ორმოცდაათწლიანი პერიოდი ორი ქართველის მოღვაწეობამ განსაზღვრა. **23**. სოფელი თეთრი წყაროს რაიონში. **24**. სპორტული არენის იატაკის გავრცელებული სახელი. **25**. მდინარეების – გარონისა და დორდონის – ესტუარი საფრანგეთში. **26**. რა ჰქვია სხეულის ასოთხმოცგრადუსიანი შეტრიალების პოზიციას? **31**. სიმპტომები, რომელიც წინ უსწრებს ეპილეფსიის შეტევას. **32**. ეთიოპიის მეფის ქალიშვილი, რომელიც ურჩხულის კლანჭებისაგან პერსევსმა გადაარჩინა. **33**. კიდურის მოკვეთა. **34**. ისტორიული ოლქი, რომელიც ალპების სამხრეთ და ყოფ. იუგოსლავიის ჩრდილოეთ ნაწილებს მოიცავს. **38**. ქართული ცეკვა. **39**. სინონიმი სიტყვებისა: „ძალიან“, „მეტად“, „ერთობ“ და ა.შ. **40**. რომის ერთ-ერთი გორაკი. **45**. შიდსი-ს საწინააღმდეგო საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალება. **46**. XIX ს დასაწყისის ავსტრიელი კომპოზიტორი. **47**. ქართული ხალხური სიმღერის შესრულების უბადლო ოსტატი. **51**. პერსონაჟი ვაჟასეული „ბახტრიონისა“. **52**. დინოზავრთა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი. **53**. ფორმალურად სწორი, მაგრამ არსებითად მცდარი დასკვნა. **54**. აგრესორისაგან მსხვერპლის ხელთგდების ერთ-ერთი საშუალება. **58**. საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი. **59**. უძველესი სახელი ქალაქისა, რომელსაც დღეს სეპარატისტები ფლობენ. **60**. ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა. **61**. პურის ფურნის თანამშრომელი **66**. მდინარე, რომლის სიგრძე 4400 კმ-ს აღემატება. **67**. რა განახორციელა (ერთხელ) საბჭოთა კავშირმა ავღანეთის მიმართ? **68**. თბილისის რძის კომბინატის „ნათლია“. **69**. ცნობილი ისტორიული და საუნივერსიტეტო ქალაქი საფრანგეთში. **73**. რა ჰქვია ჩვენებურ ფეხბურთს ამერიკაში? **74**. მავანთა ქმედების შემფასებლი სპეციალური ორგანო. **75**. კაცი, რომელმაც „დაკარგული სამოთხე“ და „დაბრუნებული სამოთხე“ დაწერა. **76**. როგორი გამოკითხვა ტარდება ხოლმე, როგორც წესი, როცა ხელზევითები ხელქვეითების მხარდაჭერას საჭიროებენ? **81**. ქართული გაზეთი. **82**. ქართული ეროვნული სამოსის შემადგენელი ნაწილი. **83**. პლასტიკური მასების წარმოებაში გამოყენებული ორგანული ნივთიერება. **88**. ქალაქი გერმანიაში. **89**. ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების თეატრალური ვარიანტი. **90**. სინდისი – ძველქართულად. **94**. (.......) მარჩი, ამერიკელი კინომსახიობი (ფილმები „ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები“, „ნიურნბერგის პროცესი“ და სხვა). **95**. ქურთების ბელადი. **96**. თავზეხელაღებული ადამიანისათვის გამეტებული ერთ-ერთი სინონიმი. **97**. ქალაქი უკრაინაში, ლუგანსკის ოლქში. **101**. საკვები ცხიმის სახესხვაობა. **102**. კაცი, რომელმაც ერთი ცნობილი ქალი მატარებლის ბორბლებამდე მიიყვანა. **103**. დამადასტურებელი ქმედების სახესხვაობა. **104**. პოპულარული ფრანგი მსახიობი ქალი. **108**. ნიზამის ერთ-ერთი პოემის მთავარი გმირი ქალი. **109**. როგორი ამბის შესახებ დაწერა პიესა ლალი როსებამ? **110**. ამა თუ იმ ერის თქმულებათა და გადმოცემათა განზოგადებული ვარიანტი. **114**. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. **115**. ცნობილი აზერბაიჯანელი საფეხბურთო მსაჯი არცთუ შორეულ წარსულში. **116**. თანამედროვე აკუსტიკური დანადგარების ჩამწერი მოწყობილობა. **121**. რამოდენიმე რუსი მწერლის გვარი. **122**. რემბრანდტის ცნობილი ნახატი. **123**. როგორი შეიძლება იყოს წნევა? **124**. მოსაფერებელი სიტყვა, რომელიც გვადი ბიგვას თავისი თხისათვის ემეტებოდა. **129**. (ბატონი) დგებუაძე, მწერალი. **130**. რომის იმპერატორი 284-305 წლებში. **131**. წარმოშობით სერბი მეცნიერი, რომელიც ელექტრო და რადიოტექნიკის სფეროში უდიდეს გამომგონებლად ითვლება. **132**. საბედისწერო ანუ როგორი? **136**. ქართული თეატრისა და კინოს შესანიშნავი მსახიობი ქალბატონი (ჩვენ ძალიან გვიყვარს იგი!). **137**. იაპონელ ქალთა განსაკუთრებული სახესხვაობა. **138**. ამერიკელი სცენარისტი და კინორეჟისორი ქალი („უცნაური ადამიანები“, 1995 წ.) **139**. ნაყვით კანგაცლილი ხორბალი, რომელიც რძეში და ერბოშია მოხარშული. **144**. სომხური მუსიკის კლასიკოსი. **145**. ცნობილი რუსი მსახიობი და მომღერალი, მშვენიერი მსახიობი ქალების მამა. **146**. ერთ-ერთი წვრილი ხმა სიმღერაში. **151**. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი. **152**. პრაქტიკულად ყველა ენების გაერთიანებით მიღებული საკომუნიკაციო საშუალება (ჩვენ მას ენას ვერ ვუწოდებთ!). **153**. ადამიანური პათოლოგიის წარმომადგენელი. **154**. სამოცდაათიანი წლების ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი. **155**. ერთ-ერთი კომუნისტი მოღვაწე, რომელსაც ოცდაათიან წლებში სტალინის „პერსონალური“ რისხვა დაატყდა. **156**. პოპულარული ტკივილგამაყუჩებელი საშუალება არცთუ შორეულ წარსულში.



**შვეულად**: **1**. ერთგვარ რქოსანთა გამაერთიანებელი სიტყვა. **2**. რა იყო „ავრორა“ თავისი არსით? **3**. ციხე-სიმაგრე და ყოფილი სამეფო რეზიდენცია ლონდონში. **5**. ევროპული ფული. **6**. შუამავალი ინტერნეტის მომხმარებელსა და თავად ქსელს შორის. **8**. ვერცხლისწყალთან სხვა ლითონის შერევით მიღებული შენადნობი ან ხსნარი. **9**. თითქმის ყველა ქართული ზღაპრის აუცილებელი პერსონაჟი. **10**. ამა თუ იმ ქმედების განვითარების კრიტიკული თუ საკვანძო მომენტი. **12**. XVIII საუკუნის შოტლანდიელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი. **13**. დადგენილი, ნორმა, რასაც ესა თუ ის საქონელი უნდა შეესაბამებოდეს. **14**. **იხილეთ ფოტო** და მისი საზღაპრო „სტატუსი“ გაიხსენეთ. **15**. ინტიმური კონტაქტის შემადგენელი ნაწილი. **16**. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა:

„ჰაფეზ, ავდარი კვალდაკვალ გდევდა,
ოცნების აფრებს გრიგალი ხევდა,
მაგრამ გაივლის ეგ შენი .......
რადგან ყოველი წარმავალია“
(ვ.კოტეტიშვილის თარგმანი)

**17**. თვალის ბროლის შემღვრევა. **21**. ცნება, რომლის გარეშეც (ჩვენ!) ლექსი ლექსად არ მიგვაჩნია. **22**. საზოგადოებრივი მეცნიერება. **27**. წყალთან დაკავშირებული სპორტის ერთ-ერთი სახეობის დედნისეული სახელი. **28**. ლენინის დასაყრდენი სუბიექტი. **29**. რა აქვს მოსკოვის კრემლის საათებს? **30**. ერთ-ერთი რეალური ქალბატონი, რომლის საქმენიც ფადეევმა ასახა „ახალგაზრდა გვარდიაში“. **35**. გერმანელი მწერალი („გვირაბი“, „სიკვდილის როკვა“ და სხვა). **36**. იაპონელი მეომრის განსაკუთრებული ტიპი. **37**. ის, რაც ბევრ მოსწავლეს ხელს უშლის ცოდნის დაუფლებაში (განათლების სისტემა არაფერ შუაშია). **41**. „სიცივის პოლუსად“ წოდებული დასახლება ციმბირში. **42**. ფელინის ფილმი. **43**. ქალაქი, სადაც სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის ერთ-ერთი შეხვედრა გაიმართა. **44**. პტოლომეუსის მთავარი ნაწარმოები. **48**. რეჟისორი ფილმისა „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“. **49**. არქიტექტურულად გაფორმებული მთავარი შესასვლელი დიდი შენობისა. **50**. ცენტრს მოშორებული რეგიონი. **55**. ცნობილი სოლომონ ისაკიჩის გამაწამებელი სიტყვა. **56**. დღევანდელი ნომრის მესამე გვერდის ერთ-ერთი პერსონაჟი. **57**. მოჯადოებული ანუ? **62**. ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი ძალოსნობის ისტორიაში. **63**. შინაგანი წვდომის, საკუთარ თავში ჩაღრმავების სახესხვაობა. **64**. ხიდის შემადგენელი ნაწილი. **65**. სითხის საზომი ერთეული. **70**. აფთიაქის თანამშრომელი. **71**. ქართველი, რომელიც XX საუკუნის შემაჯამებელ სიებში პრაქტიკულად ყველგან ფიგურირებს. **72**. ცნობილი ფირმის, „Zipo“-ს საწარმოებელი ნივთი. **77**. როგორი სიკვდილი შეიძლება არსებობდეს? **78**. როგორი შეიძლება იყოს არამზადა? **79**. „გარყვნილების აღწერა“ ანუ რა? **80**. ძვ. ბერძენი მწერლის ქსენოფონტის თხზულება. **84**. რა იწურება ახლა? **85**. ცნობილი რუსი სახასიათო კინომსახიობი ქალი. **86**. ამერიკის ტყეებში მობინადრე კატისებრი მტაცებელი. **87**. სიძველის გადმონაშთი. **91**. ძლიერი მიწისძვრის მომდევნო სუსტი ბიძგი. **92**. შენობის შიგნითა ნაწილი. **93**. ცნობილი გერმანელი თეატრალური რეჟისორი ზაარბრიუკენიდან. **98**. კლასიკური ცეკვის ილეთი. **99**. ადამიანი, რომელსაც საკუთარი აზრების დამალვას პროფესია ავალებს. **100**. ტემპერატურის საზომი ხელსაწყო. **105**. საფოსტო ცნება. **106**. მთის ჰაერით მკურნალობა. **107**. მხცოვანი რუსი კინო-საესტრადო კომპოზიტორი. **111**. გონებრივი სისუსტის სახესხვაობა. **112**. აქილევსის მეეტლე ბერძნულ მითოლოგიაში. **113**. სისხლძარღვის სახესხვაობა. **117**. „ცხელი იარაღის“ შემადგენელი ნაწილი. **118**. XIX საუკუნის გერმანელი მათემატიკოსი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. **119**. უზენაესი არსება. **120**. მეფე იანოშ კორჩაკის შემოქმედებიდან. **125**. რუსი ტელეკომენტატორი, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით გადაცემით „До и после полуничи“. **126**. რელიგიური დანიშნულების ნაგებობა. **127**. წინსართი, რომელიც სისხლძარღვებს აღნიშნავს. **128**. XIX-XX ს ინგლისელი მწერალი, დეტექტიური ჟანრის ოსტატი. **133**. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში. **134**. სასწავლო წლის შემადგენელი ნაწილი. **135**. ქართული ფეხბურთისათვის კარგად ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი. **140**. იუპიტერის თანამგზავრი. **141**. ტკბილი ენისა და გველის დამაკავშირებელი გარემო. **142**. წინსართი, რომელიც ქართულ „შორის“-ს შეესაბამება. **143**. ლურჯი ფერის საღებავი. **147**. წინათგრძნობა ანუ რა? **148**. საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. **149**. ძველი ხომალდების აუცილებელი ინვენტარი. **150**. რა მოსდევს იას?

საკროსვორდო მინიტურნირის კროსვორდების პასუხები და შედეგები 14 იანვრის ნომერში გამოქვეყნდება



# ფანტაზიორი

გთავაზობთ 12 კითხვას, რომელთა საშუალებით და თქვენი ფანტაზიის მოშველიებით შეგეძლებათ საკუთარი ცოდნისა და წარმოსახვის დონის განსაზღვრა;
რუბრიკას უძღვება ვახტანგ ელერდაშვილი.
*(პასუხები იხილეთ მე-14 გვერდზე)*

მოცემული კითხვები ამოკრებილია ინტერნეტის ქართული საიტიდან „მოაზროვნე", სადაც მიმდინარეობს ინტელექტუალური ტურნირი „მოაზროვნის" ტიტულის მოსაპოვებლად. თუ თქვენ გაგაჩნიათ ტექნიკური საშუალება და სურვილი, შეგიძლიათ ამ ტურნირში ნებისმიერი ტურიდან მონაწილეობის მიღება.
გაცნობებთ საიტ „მოაზროვნის" მისამართს:http://attend.to/moazrovne

## კითხვა №1

პიესის პრემიერა "ცა რომ სარკე იყოს" 1967 წლის 2 ოქტომბერს, ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეოდ ქ. ლენინგრადის ვ.ფ.კომისარჟევსკაიას სახელობის თეატრში შედგა. ამ სპექტაკლს 1969 წელს კუიბიშევის სსრკ ხალხთა დრამატურგიის ფესტივალზე ჟიურიმ პირველი ადგილი და პირველი პრემია მიანიჭა. მისი ინსცენირება 16 წელიწადი, 1983 წლამდე გრძელდებოდა.

**დაასახელეთ ქართველი მწერალი და მისი მოთხრობა, რომლის მიხედვითაც ეს სპექტაკლი დაიდგა (6 ქულა)**

## კითხვა №2

მისი სიმაღლე დაახლოებით 2 მეტრს შეადგენს. იგი არის მოლურჯო სახის მქონე, სწორთმიანი, მხარბეჭიანი არსება, რომელსაც კისერზე ორი ჭანჭიკი აქვს. იგი უზარმაზარი ძალის პატრონია. მას ორივე ფეხი მარცხენა აქვს. პირველად მის შესახებ მსოფლიომ XIX ს. I ნახევარში გაიგო.

**ვიზე ან რაზეა საუბარი? (9 ქულა)**

## კითხვა №3

ეს ცნობილი მსახიობი ახალგაზრდობაში ფრიად გაუნათლებელი იყო, რასაც იგი არც მალავდა. ახლახანს მან აღიარა, რომ პირველად იმის შესახებ, თუ ვინ იყო ოდისევსი, გაიგო 1954 წელს, როდესაც მისი როლის შესრულება მოუწია. ხოლო როდესაც მას ერთ ფილმში შესთავაზეს მთავარი როლის შესრულება, მას ეგონა რომ ფეხბურთის გუნდის ნახევარმცველი უნდა ეთამაშა. არადა, სწორედ ამ როლმა მოუტანა ამ მსახიობს საყოველთაო აღიარება.

**ვისი როლი შეასრულა მან ამ ფილმში (10 ქულა)?**

## კითხვა №4

იგი დაიბადა 1937 წლის 25 მაისს პრაღაში, ცნობილი ჩეხი დიპლომატის იოზეფ კორბელის ოჯახში და მას სახელად მარია უწოდეს, თუმცა 7 წლის ასაკში გოგონამ თავისით შეიცვალა სახელი. 1948წ. მამამისი წაეჩხუბა კომუნისტურ ხელისუფლებას და ოჯახთან ერთად აშშ-ში გაემგზავრა. აქ ამ გოგონამ დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტი და მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. 1959წ. იგი გათხოვდა საგაზეთო მაგნატის მემკვიდრეზე და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაშორდნენ ერთმანეთს 1982 წელს, ეს ქალი დღესაც ქმრის გვარს ატარებს. სწორედ განქორწინებამ შეცვალა მისი ხასიათი და დღეს ეს ქალი მეტად მკაცრ, დაუნდობელ და ერთგვარად უმადურ პიროვნებად არის ცნობილი.

**რა სახელითა და გვარითაა ცნობილი მთელი მსოფლიოსათვის დღეს ის მარია კორბელი? (11 ქულა)**

## კითხვა №5

ლოგიკური ამოცანა: ერთ სახელმწიფოში მოქმედებს უცნაური კანონი: ფოსტა არ ღებულობს გზავნილებს, რომელთა სიგრძე აღემატება 1 მეტრს. თქვენი ამოცანაა ამ კანონის დაურღვევლად გააგზავნოთ ძველებური სალამური, რომლის სიგრძე 1,7 მეტრს შეადგენს. არ შეიძლება სალამურის დაშლა, გატეხვა, დაკეცვა ან გაღუნვა.

**ამოხსენით ეს ამოცანა (8 ქულა)**

## კითხვა №6

ტრადიციულ იტალიურ პიცაში ცომის გარდა აუცილებლად უნდა იყოს 3 კომპონენტი: ტომატის სოუსი, ყველი "მაცარელლა" და ოხრახუშის ფოთლები. პიცის ამ სამ კომპონენტს კულინარული მნიშვნელობის გარდა გააჩნია სიმბოლური მნიშვნელობაც.

**რაში მდგომარეობს ეს სიმბოლური მნიშვნელობა (6 ქულა)**

## კითხვა №7

ამ არაპროფესიონალმა მევიოლინემ ერთხელ აღნიშნა: "მალე მე ისეთივე ცნობილი ვიქნები, როგორც ჩემპიონი კეტბურთში (ბეისბოლში)". იგი მართლაც გახდა ცნობილი მიუხედავად იმისა, რომ 1952 წელს უარი თქვა ისრაელის პრეზიდენტობაზე.

**ვინ იყო ეს ადამიანი (8 ქულა)**

## კითხვა №8

ამ ადამიანზე დადიოდა ლეგენდები. იგი შეპყრობილი იყო სისუფთავის მანიით: დღეში 50-ჯერ იბანდა ხელს, 5-ჯერ იღებდა აბაზანას და იცვლიდა 10 პირსახოცს. ფელინი მას უწოდებდა "კინემატოგრაფის შექსპირს". ოთხმოცი წლისამ მან მიიღო ბრიტანეთის იმპერიის სამეფო ორდენი.

**ვინ იყო ეს ადამიანი (10 ქულა)**

## კითხვა №9

დოსტოევსკი, ჟვანეცკი, გორბაჩოვი, ესენინი, პუშკინი, სერგეი მიხალკოვი, ლენინი, ...

**მიუხედავად იმისა, რომ ამ სიაში მოხსენიებულნი არიან ცნობილი რუსი ადამიანები, თქვენ უნდა გაიხსენოთ დიდი ქართველი, რომელიც აღნიშნული ჩამონათვალის ლოგიკურ გაგრძელებას, და არა დასასრულს, წარმოადგენს (7 ქულა)**

## კითხვა №10

ახლახანს თავისი მორიგი ყრილობა ჩაატარა ორგანიზაციამ "ამერიკის მცირე ერი". პორტლენდში შეიკრიბა ორგანიზაციის 2000-ზე მეტი წევრი. ყრილობის პროგრამაში შედიოდა გასართობი ღონისძიებები, ვინაიდან ეს ხალხი თავისი ბუნებით დიდი ოპტიმისტები არიან და ძალიან უყვართ გართობა. ამის გარდა მოეწყო სამკურნალო კონსულტაციები და საუბრები უფლებების დაცვაზე. ისინი თვლიან, რომ აშშ-ში მათი უფლებები არ არის დაცული. ჯერ კიდევ 1952 წლიდან, როდესაც ჩატარდა ორგანიზაციის პირველი ყრილობა, მათი მოთხოვნების პირველი პუნქტი იყო ამოეღოთ ყველა ლექსიკონიდან სიტყვა, რომლითაც მოიხსენიებენ ხოლმე ამ ხალხს, რასაც ისინი თვლიან საშინელ დამცირებად.

**ვინ გამოიგონა ეს სიტყვა? (9 ქულა)**

## კითხვა №11

1972 წელს ერთმა ახალგაზრდა ინდუსმა მისწერა წერილი ჯონ ლენონს, რომ მას აქვს ოცნება, იმოგზაუროს მსოფლიოს გარშემო, მაგრამ არა აქვს ფული. წერილის ბოლოს ინდუსი სთხოვდა ფულს მოგზაურობისათვის. "დაიწყე მედიტაცია და შენ შეძლებ, ნახო მსოფლიო შენს წარმოსახვაში" - წერილითვე უპასუხა ლენონმა. 1995 წელს ეს ინდუსი მართლაც გაემგზავრა მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ.

**როგორ მოახერხა მან ეს? (9 ქულა)**

## კითხვა №12

თბილისის ქუჩა, რომელიც ატარებს ამ ქართველი ხელოვანის სახელს, კვეთს მისი რუსი კოლეგის სახელობის ქუჩას. ამ ქართველი ადამიანის სეხნია ცნობილი იტალიელი მცველია (თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავი), ხოლო მისი მოგვარე - ევროპაში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელი.

**გაიხსენეთ ამ ცნობილი ქართველი პიროვნების სახელი და გვარი (7 ქულა)**

## შევაჯამოთ ქულები

**20** ქულამდე — დამწყები „ფანტაზიორი"-ს შედეგი.

**21-35** ქულა — თქვენი ცოდნა გარკვეულ სრულყოფას საჭიროებს.

**36-50** ქულა — თქვენი ცოდნა და ინტუიცია ჰარმონიაშია მოსაყვანი.

**51-70** ქულა — თქვენი ცოდნის უკან სათანადო ინფორმაციული მხარდაჭერა არ დგას.

**71-80** ქულა — ჩვენ ვამაყობთ, რომ ასეთი მკითხველები გვყავს.

**81-94** ქულა — დიდებული შედეგია, მოილეთ მონაწილეობა ინტელექტუალურ თამაშებში.

**95-100** ქულა — აი, შე ეშმაკო!... პასუხები ნახე, ხომ?!

თუ გაქვთ საინტერესო კითხვები, მოგვაწოდეთ და ჩვენ სათანადო მადლობას გადაგიხდით.

„ფანტაზიის" რედაქცია

# უბრალოდ კროსვორდი



1. შუასაუკუნეების შვეიცარიელი ექიმი და ალქიმიკოსი. 2. ღვინის ღმერთი. 3. დალიც და სახელმწიფოც. 4. ერთი – რომანულ ენებზე. 5. შთამომავალი. 6. საფრენი აპარატის სახესხვაობა. 7. ქალაქი ესტონეთში.

8. ერთხელ მოსკოვის ტელევიზიამ გამოკითხვა ჩაატარა იმის თაობაზე, თუ რომელი ქართული სიტყვები იყო ცნობილი რუსებისათვის; დაასახელეს – გენაცვალე, კაცო, ქინძმარაული და... ის სამასოიანი „სიტყვა“, რომელიც თქვენ უნდა გამოიცნოთ.

9. სამხრეთ ამერიკის „გრძელფეხება“ რეგიონი. 10. სატრანსპორტო სფერო. 11. ვინ იყო ზიჩი თავისი მთავარი „საქმიანობით“? 12. გასიმბოლოებული მავზოლის საპატივცემლოდ აგებული შენობა. 13. მრავალი ქართველი კომენტატორის აზრით, ნორვეგია-საქართველოს მატჩის ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი. 14. 60-70-იანი წლების გასაყარზე საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე. 15. ჭიანჭველას მსგავსი მწერი. 16. გენერატორის უძრავი ნაწილი. 17. ავტორი რომანისა „მიმქრალი შარავანდედი“. 18. არჩევანი ორ ურთიერთგამომრიცხავ მოვლენას შორის. 19. საბუღალტრო ცნება. 20. ესპანეთის ისტორიული რეგიონი. 21. რონალდოს აწ უკვე ყოფილი საცოლე, სუზანა... 22. ედმონდ დანტესის სატრფო. 23. 1747-1920 წლებში ბუხარაში არსებული სახელმწიფოებრივი გაერთიანება. 24. გავრცელებული აზრის თანახმად, როგორია ესპანური ან თუნდაც იტალიური ენა? 25. პიროვნება, რომლის კომპეტენცია უფროსისათვის ტექსტის მომზადება გახლავთ. 26. თაღლითური წამოწყება. 27. ნარკვევი, რომელშიც განხილულია ლიტერატურულ-სოციალური და ზნეობრივი პრობლემები. 28. დამოუკიდებელი ცვლადი, რომლის ცვლილებითაც ფუნქციის მნიშვნელობა იცვლება. 29. ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული. 30. ბასკ სეპარატისტთა ტერორისტული ორგანიზაცია. 31. ქალაქი სიღნაღის რაიონში. 32. ესა თუ ის ავადმყოფური ჩვევა. 33. კიონიგსბერგელი ფილოსოფოსი. 34. ჩვენი მდინარე. 35. სახელი მომღერლისა, რომელსაც ერთ დროს ედიტ პიაფის მემკვიდრეობას უწინასწარმეტყველებდნენ. 36. რაიმე ქმედებისაკენ მოწოდებისას გამოყენებული დამხმარე სიტყვა. 37. მუსიკალური ინსტრუმენტი. 38. ქალაქი, სადაც მსოფლიოს ყველაზე პატარა მდინარე გაედინება. 39. ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია.

40. ეს სიტყვა სპარსულად სიტყვასიტყვით „სურნელეთს“ ნიშნავს... ჩვენთან კი უფრო „გასტრონომიული“ დანიშნულება შეიძინა... მაინც რა იგულისხმება?

41. მუზების საუფლო ძველბერძენთა თანახმად. 42. სამყაროს აღქმის ირეალური საშუალება. 43. ღრეობის უკიდურესი სახეობა. 44. გაუფასურებული ფულის ერთეულში ნულების მოშლა. 45. იაპონიის უძველესი დედაქალაქი. 46. სახელმწიფოს ფედერალური მოწყობის მომხრე. 47. მაღალი წნევის არე. 48. კაცთმოძულეობა. 49. რაიმე თანამდებობისათვის გამზადებული პიროვნება. 50. დედამიწის ქალღმერთი. 51. რთული ოქსიდების მინერალთა წარმომადგენელი. 52. სახელმწიფოებრივი წყობის მოძულე. 53. მტაცებელ ფრინველთა დასაშინებელი შეძახილი. 54. ასე ვთქვათ, გონებასუსტობა არაჩვეულებრივად. 55. თანმხლები პირების ერთიანობა. 56. „წარმომავლობა“ რიგით მე-3 ნიდერლანდელი ვილჰელმისა, რომელიც 1689 წელს ინგლისის მეფე გახდა. 57. ამა თუ იმ მოვლენის ან იდეის განვითარების მიმართულება. 58. ჟაკლინ კენედის მეორე გვარი. 59. მ.ი.ლერმონტოვის დრამა. 60. მე-ს პირის ნაცვალსახელი. 61. სიცოცხლის წყარო. 62. ერთგვარი სპორტული ნავი. 63. ამერიკული ლოტო. 64. ინდოეთის ისტორიული რეგიონი და შტატი. 65. ქიმიური ელემენტი.

66. თანამედროვე ახალგაზრდების ჟარგონზე – გაიძვერა, თაღლითი ადამიანი („პაზოდუ“ – ბემურაზიც)... სხვათა შორის ამ კითხვაში ფრანგული, რუსული, თურქული და სპარსული სიტყვებია გამოყენებული.

67. მთის ბუჩქი, რომელსაც ერთდროს შთაგონებით უმღეროდა სოფია როტარუ. 68. მუსიკალური ინსტრუმენტი. 69. ეს მოძრავი მექანიზმი ბერლიოზის სიკვდილის მკვლელი გახდა. 70. ქართველ სიმბოლისტთა საყვარელი ქურციკის სახეობა. 71. „ჰინდენბერგიც“ და „ცეპელინიც“. 72. ამსტერდამის „აიაქსის“ ფეხბურთელი. 73. ბევრი ენის მცოდნე. 74. (მაგალითად) გრაფიტსა და მინას ეს თვისება არ გააჩნიათ. 75. ყველაფრისადმი გულგრილი დამოკიდებულება. 76. (....) ფონ ბისმარკი. 77. მოცემულ ტერიტორიაზე არსებულ სამხედრო ნაწილთა ერთობლიობა. 78. ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ცდას მიიჩნევს თეორიის საფუძვლად. 79. თბილისის რადიოსადგური. 80. სახელმწიფო აზიაში. 81. ძველბერძენთა თავშესაყარი ადგილი. 82. 11-წლიანი „საკონცენტრაციო ბანაკი“ (ვხუმრობთ, რა თქმა უნდა!). 83. აღმოსავლელ პოეტთა „საყვარელი“ ქმნილება. 84. სწრაფჩაწერის ხელოვნება. 85. ლიტერატურული ნაწარმოები. 86. აშშ-ს შტატი. 87. რაიმე ობიექტის ადგილმდებარეობის დადგენა სივრცეში. 88. ზევსის მამა. 89. გეომეტრიის ნაწილი. 90. ომის ღმერთი. 91. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი. 92. ფართობის საზომი ერთეული. 93. ძალიან პატარა ანუ როგორი? 94. გულმართალი, მიამიტი... ანუ? 95. ნიშანი, რომელიც ინიციალებიხაგან შედგენილ ნახატს წარმოადგენს. 96. სამართლებრივი მდგომარეობა. 97. თანამდებობა ძველ რომში. 98. მუს. ხმის ტონით ან ნახევარი ტონით შეცვლა. 99. ძველთბილისური მოსაფერებელი ბოლოსართი. 100. (თუნდაც) მიხეილ ჯავახიშვილის ლიტერატურული პროფესია. 101. სისხლის სამართლის დანაშაული. 102. ქალაქი, რომელიც „ყველაზე ნელა“ ბრუნავს მთელ საქართველოში. 103. ხომალდი. 104. ამა თუ იმ ორგანოს განუვითარებლობა. 105. მთათა სისტემა. 106. რეალური საგნის შემცვლელი. 107. მდგომარეობა, წესდება. 108. თვითგვემა. 109. ცნობილი ამერიკელი ფიზიკოსი. 110. ფრანგ მამაკაცთა სახელი. 111. პატარა თევზსაჭერი ხომალდი. 112. წარჩინებული პიროვნება. 113. ზედმეტი ტვირთი. 114. სკანდინავიურ თქმულებათა კრებული. 115. ჰოლანდიურ (...და სომხურ) გვარებშია. 116. ესპანეთის ისტორიული რეგიონი. 117. რუსი ილუზიონისტი. 118. სატრაქტორო „მეცნიერება“.

**შეადგინა გოგა ტარიელაშვილმა**



**თარაზულად:** 1. ფრანგი კომპოზიტორი, ავტორი ბალეტისა „დაფნისი და ქლოე". 5. მოქსოვილი ჩამოსაკიდებელი საწოლი. 8. რობერტ ბარძიმაშვილის ბავშვთა სტუდია. 10. ასოკირკიტა. 11. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. 12. სელექციით გამოყვანილი მცენარის ან ცხოველის საუკეთესო ეკზემპლარი. 13. მეკობრე. 15. ყველაფრისადმი გულგრილობა, უინტერესობა. 18. სახელდახელოდ შესრულებული ნახატი. 19. მტკვრის მარცხენა შენაკადი. 20. სილიციუმის ორჟანგი. 21. პუჩინის ოპერა. 23. საბერძნეთი. 24. მოხეტიალე ცირკის მაღალი გარეთა აივანი. 25. ძველი ბერძნული ეპიკური პოემა. 28. ხილი. 29. ...ედიანი ვარსკვლავი. 34. ამერიკელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. 35. იტალიელი კომპოზიტორი, ავტორი ოპერისა „დონ პასკუალე". 37. მხატვრულ ნაკეთობათა და ხელვნების ნაწარმოებთა მაღაზია. 39. კარმენ ლორიას რომანი. 40. ქალაქი ისრაელში, კინერეთის ტბის ნაპირზე. 45. სასულიერო სასწავლებელი XVIII-XIX საუკუნეებში. 46. უწესრიგობა, უსისტემობა. 47. პარკოსანთა ოჯახის ბალახოვანი მცენარე. 48. შენობა მუსიკალური წარმოდგენისათვის ძვ. საბერძნეთში. 49. ტყის გრძელნისკარტა ფრინველი. 50. პლანშე დ'არტანიანისათვის. 51. საგანგებოდ შერჩეული ნარევი. 54. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი. 57. ქალის ფართი პალტო. 59. მელოდიის შესრულება ერთი მომღერლის მიერ. 60. ფრანგი ქიმიკოსი, რომელმაც შეიმუშავა ქსოვილების და ქაღალდის ქლორით გათეთრების მეთოდი. 61. ქალაქი სამხრეთ ირანში. 62. საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის თეატრის მსახიობი. 63. სახელმწიფო აფრიკაში.

**შვეულად:** 2. ბერძნ. მითოლოგიაში ომის ღმერთი. 3. მაღალი ხვიარა ბუჩქი მცოცავი ღეროებით. 4. ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე, ჩიბურდანიძესთან მსოფლიო პირველობაზე მატჩის მონაწილე. 6. ჯადოსნობა, მისნობა. 7. ერთგვარი სისტემის რევოლვერი. 8. სიგრძის ძველებური ფრანგული საზომი. 9. თმის საღებავი. 13. ქუქაც, სოფიც და იუდითიც. 14. საბჭოთა პიანისტი, არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი. 16. აკაკი წერთლის პოემის პერსონაჟი. 17. XI ს ფილოსოსფოსი, ექიმი-პოეტი. 21. მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. 22. თუთიყუში. 26. ხვიარა მცენარე. 27. სწრაფმავალი პატარა მზვერავი გემი. 30. საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა. 31. 1 სმ კბ-ში გახსნილი ნივთიერების გამოსახულება. 32. ქალაქი დას. საქართველოში. 33. მახრჩობელა გველი. 36. კუნძული ფილიპინების არქიპელაგში. 37. ნიდერლანდელი ფილოსოფოსი. 38. მუსიკალური ნაწარმოების სიტყვიერი ტექსტი. 41. აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი. 42. მდინარე შიდა კახეთში. 43. საერთო საქმეში თითოეული წევრის მიერ შეტანილი წილი. 44. ძვლოვანი წანაზარდი ზოგი ცხოველისა. 52. ინგლისელი მწერალი, ავტორი რომანისა „უევერლი". 53. ყალბი. 55. კანის მძიმე გადამდები სნეულება. 56. ავსტრიელი პოეტი, ევროპული სიმბოლიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 57. ...მე დუნი. 58. კიმონოზე შემოჭერილი დეკორატიული სარტყელი.

**შეადგინა არკადი ქურჩიშვილმა**

# აფორიზმები ფანტაზიისათვის

— ღმერთი ხელების სიწმინდეს ხედავს და არ მათს გულუხვობას.

*(ფრანსუა რაბლე)*

— წლების განმავლობაში ქალების მეშინოდა და დავრწმუნდი, რომ მათ არა მარტო სიცოცხლის მოცემა შეუძლიათ, არამედ წართმევასაც არ ერიდებიან.

*(Cary Grant)*

— თვით ყველაზე მხდალიც კი ამჯობინებდა ერთხელ დაცემას, ვოდრე მთელი ცხოვრება ჩამოკიდებას.

*(სენეკა უმცროსი)*

— თუ თქვენს შვილს არასოდეს გასჩენია სიძულვილი თქვენს მიმართ, ე.ი. თქვენ არასოდეს ყოფილხართ მშობელი.

*(Bette Davis)*

— ყველაზე საუკეთესო გველი მაინც გველია.

*(ნ.ს.ლესკოვი)*

— წიგნები უნდა სდევდნენ მეცნიერებას და არა მეცნიერება წიგნებს.

*(ფრენსის ბეკონი)*

— როცა თქვენ ვინმე გძულთ, თქვენ გძულთ ის, რაც თქვენივე ნაწილი გახდა; ის, რაც ჩვენი ნაწილი არ არის, არ გვაღელვებს.

*(ჰერმან ჰესე)*

— კატები იჩხაპნებიან, ძაღლები იკბინებიან, მე კი ვწერ.

*(სცენარისტი James Elroy)*

— ის, ვისაც კეთება უნდა, ნახულობს საშუალებას; ის, ვისაც კეთება არ უნდა, ნახულობს მიზეზს.

*(არაბული ანდაზა)*

— ყოველი ბიბლიოთეკა დასრულებისაკენ ისწრაფვის, თუნდაც ეს მხოლოდ კბილის ჯაგრისების ისტორია იყოს.

*(Sir Oliver Wendel Holmes)*

— ყოველი გმირი საბოლოოდ მაინც მომაბეზრებელი ხდება.

*(რალფ ვალდო ემერსონი)*

— ხალხს ჰგონია რომ რაკიღა მოთხრობა შეთხზულია, ის სიმართლე არ არის. არადა, ყველაფერი პირიქითაა. ბიოგრაფიები და მემუარება არასოდეს არ არის სრულყოფილი, რადგან მათში არ აისახება მომხდარი ფაქტების მთელი სისავსე. მოთხრობაში კი ეს სისავსე ადვილად მისაღწევია.

*(ენტონი პოუელი)*

— უამრავ ადამიანს სწამს ღმერთის, მაგრამ ძალზედ ცოტაა ისეთი, რომლისაც ღმერთს სწამს.

*(მარტი ლარნი)*

— შენ მეკითხები — რა არის სიცოცხლე? ეს იგივეა, რომ იკითხო — რა არის სტაფილო? სტაფილო სტაფილოა და მეტი არაფერია ცნობილი მის შესახებ.

*(ანტონ ჩეხოვი)*

— რომ არ ყოფილიყვნენ ბოროტმოქმედნი, არც გმირები იარსებებდნენ.

*(პიტერ უსტინოვი)*

— ზოგიერთ ადამიანს ისე ეშინია სიკვდილის, რომ სიცოცხლეს ვერ გრძნობს.

*(ვან დეიკი)*

— პორნოგრაფია ცრუობს ქალების შესახებ, მაგრამ სიმართლეს ლაპარაკობს მამაკაცებზე.

*(John Stolteberg)*

— პოეტი საჯარო ფიგურა არ არის. იგი უნდა წაიკითხო და არა ნახო.

*(C.Day Lewis)*

— პირდაპირ მზისკენ მომზირალი ჩრდილებს ვერ ამჩნევს.

*(ჰელენ კელერი)*

— ადამიანი ცხოვრებაში ორ სისულელეს სჩადის — იბადება და ქორწინდება... ყველა დანარჩენი აქედან გამომდინარეობს.

*(ვ.ა.ჟილიაკოვი)*

— მე არასადოს მივნდობივარ კაცს, რომელიც არ სვამს.

*(ჯონ ვაიენი)*

— მე ჩემი ახალგაზრდობა და სილამაზე კაცებს მივეცი. ახლა მე ვაძლევ სიბრძნესა და გამოცდილებას — ჩემს საუკეთესო თვისებეს — ცხოველებს.

*(ბრიჯიტ ბარდო)*

— მე ვცდილობ მუდამ ფორმაში ვიყო. ჩასუქებულებს არასოდეს სთავაზობენ ბელადების როლებს.

*(კერკ დუგლასი)*

